ხელშეკრულება № 216

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (საქონლის შესყიდვა)

ქ. გორი 03 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) **მისი დირექტორის გულნარა ბზიშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417883044)** და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „დაფნე" (ს/კ: 218075026), დირექტორი დავით ჩრდილელის** სახით (შემდგომში გამყიდველი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ხელშეკრულების საგანია, კვების პროდუქტების შესყიდვა,იხილეთ დანართი.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: კვების პროდუქტები (CPV-15800000);(CPV-15300000);(CPV-03200000);(CPV-03100000); (CPV-33700000).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 170.50 (ასსამოცდაათი ლარი და 50 თეთრი) ლარს

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და გამყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 განხორციელდება ხდება ლარებში

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის გამყიდველის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს: -

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშწორება გამყიდველთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

- უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღებას

8.3 გამყიდველს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 გამყიდველი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთაA პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შსაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუზლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა მისი ხელის მოწერის დღიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ვადით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია. თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილებრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრუელბის შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრუელბო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი. (გულნარა ბზიშვილი).

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელსაყრელ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

გორის მუნიციპალიტეტის	შ.პ.ს. „დაფნე“
მოსწავლე-ახალგაზრდობის	
კულტურულ-საგანმანათლე	იურიდიული მისამართი:
ცენტრი	ქ. გორი ჭავჭავაძის ქ№26
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“	პროკრედიტ ბანკის გორის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22	ბ/კ: MIBGGE22
ა/ნ GE02LB0115171175191000	*ა/ნ: GE68PC0143600100021979*
ს/კ 417883044	*ს/კ:* 218075026
შემსყიდველი: /გ.ბზიშვილი/	გამყიდველი: / ლ. ყურელი /

N 216 ხელშეკრულების დანართი 03.11. 2015 წელი

N	დასახელება	რაოდენობა	ფასი	ჯამი	CPV
1	ხაჭაპური	5 ცალი	6.00	30.00	15800000
2	ლობიანი	5 ცალი	2.50	12.50	15800000
3	მჭადი შემწვარი	50 ცალი	0.50	25.00	15800000
4	ბლინჩიკი	40 ცალი	0.50	20.00	15800000
5	ბადრიჯნის სალათა	1.16კგ	15.00	17.46	03200000
6	ისპანახის სალათა	1.კგ	17.50	17.50	03200000
7	ყველი	0.97 კგ	15.00	14.64	03100000
8	შაქარი	1 კგ	1.40	1.40	15800000
9	ყავა ჯაკობსი 100გრ	1 ცალი	11.50	11.50	15800000
10	ლიმონათი ნატახტარი 2 ლიტ	5 ცალი	2.60	13.00	15300000
11	ლიკანი 1 ლიტ	5 ცალი	1.00	5.00	15300000
12	ხელცახოცი	1 ცალი	2.50	2.50	33700000
			ჯამი	170.50	

შემსყიდველი: გ. ბზიშვილი

მომწოდებელი: დ. ჩრდილელი

მიღება - ჩაბარების აქტი

(საქონლის შესყიდვის შესახებ)

ქ. გორი 04 ნოემბერი 2015 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი მისი დირექტორის **გულნარა ბზიშვილის სახით** (ს/კ 417883044) „შემსყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ **შ.პ.ს „დაფნე"ს დირექტორი დავით ჩრდილელის სახით (ს/კ 217075026)** „გამყიდველად" წოდებული, ვადასტურებთ, რომ 2015 წლის 3 ნოემბრის ხელშეკრულების (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ) თანახმად „გამყიდველმა" მოგვაწოდა კვების პროდუქტები, ფასით 170.50 (ასსამოცდაათი ლარი და 50 თეთრი) და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

ეს მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად რომელთაგან ერთი გადაეცემა ჩამბარებელს.

„შემსყიდველი"

გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალ

გაზრდობის კულტ.საგანმანათლებლო ცენტრი

საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"-ს

ა/ა GE02LB0115171175191000

ს.ნ 417883044

დირექტორი:

გ. ბზიშვილი

„გამყიდველი"

შპს „დაფნე"

ქ. გორი ჭავჭავაძის ქ№26

ს.ს პროკრედიტ ბანკი

ა/ნ: GE68PC0143600100021979

ს/კ: 218075026

დირექტორი:

დ.ჩრდილელი